ევროკავშირმა შესაძლოა აკრძალოს კატისა და ძაღლის ბეწვის იმპორტი ფუმფულა სათამაშოების დასამზადებლად

ბრიუსელი. შესაძლოა ევროკავშირმა აკრძალოს კატისა და ძაღლის ბეწვის იმპორტი ფუმფულა სათამაშოების დასამზადებლად. აკრძალვა ძირითადად შეეხება აზიის ქვეყნებს, სადაც მწარმოებლები მხილებულნი არიან ცხოველთა მიმართ განსაკუთრებულად სასტიკ მოპყრობაში. ამის შესახებ განაცხადება გააკეთა ევროკავშირის მომხმარებელთა უფლებების დაცვის კომისიის ხელმძღვანელმა.

ცხოველთა უფლებების დამცველმა აქტივისტებმა განაცხადეს, რომ აზიური ფირმები ყოველწლიურად ორ მილიონამდე ეგზოტიკური აზიური ჯიშის კატასა და ძაღლს ანადგურებენ, რათა მათი ბეწვი ევროპაში გააგზავნონ გაყალბებული დოკუმენტაციით. ბეწვს ძირითადად იყენებენ ფუმფულა სათამაშოების დასამზადებლად, ასევე საბნების, კაპიუშონების და სხვა ნივთების გასაწყობად.

ევროკავშირის ხუთმა ქვეყანამ - ბელგიამ, დანიამ, საფრანგეთმა, იტალიამ და საბერძნეთმა აკრძალა მსგავსი ბეწვის იმპორტი, მაგრამ დანარჩენ წევრებს არ მიუღიათ ასეთი გადაწყვეტილება. ბეწვის იმპორტი ასევე აიკრძალა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ავსტრალიაში.

"ჩვენ ვფლობთ ძაღლებისა და კატებს წამების ამსახველ რეალურ სურათს" - განაცხადა ლუქსემბურგის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ფერნარდ ბოდენმა, რომელიც ამავდროულად არის ევროკავშირის ახლანდელი პრეზიდენტი. *"ნამდვილად არ გვინდა მსგავსი რამ მომავალშიც განმეორდეს"* – აღნიშნა მან.

ევროკავშირის ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კომისიის წევრმა მარკოს კიპრიანომ, ევროკავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ევროკავშირმა მხედველობაში უნდა მიიღოს მსგავსი ბეწვის იმპორტის აკრძალვის საკითხი. მსგავსი საკითხები უკვე რამოდენიმე წელია წამოყენებულია წევრი-ქვეყნების მიერ. შვედეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა კვლავ დააყენა ეს საკითხი განსახილველად.

მთავარი პრობლემას წარმოადგენს სამართლებრივი ბაზის მოძიება კატისა და ძაღლის ბეწვის იმპორტის აკრძალვისათვის. მარკოს კიპრიანომ განაცხადა, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით ევროკავშირს გააჩნია სურვილი, მაგრამ ეს უნდა ეყრდნობოდეს იურიდიულ საფუძველს.

ევროკავშირის ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კომისიამ აღნიშნა, რომ ევროკავშირს არ შეეძლო ბეწვის იმპორტის აკრძალვა მხოლოდ ცხოველთა კეთილდღეობის დაცვის მიზეზით.

მარკოს კიპრიანომ განაცხადა, რომ კომისიას შეუძლია წამოაყენოს წინადადება ვაჭრობაზე სრული აკრძალვის ან ფალსიფიცირებული მარკირების შესახებ.

ეს ბეწვი გამოიყენება ისეთი საქონლის დასამზადებლად, რომლიც უშუალოდ ბეწვის ნაწარმს არ წარმოადგენს. მაგ: თეთრეული, ფუმფულა სათამაშოები და ა.შ. როცა კატის ბეწვისაგან დამზადებულ ქურქს წავის ქურქად ასაღებენ, მწარმოებლის თაღლითობის საკითხთან ერთად, მომხმარებელის უფლებების

დაცვის საკითხიც დგება. მომხმარებელმა უნდა იცოდეს საქონლის წარმომავლობა - საიდან მოდის და როგორი მეთოდით არის დამზადებული მის მიერ შეძენილი ესა თუ ის საქონელი.

ჯერემი სმიტი

Story Date: 31/5/2005